ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3679541

ნომერი: AR1557026

თარიღი : 10.11.2017

გაცემის თარიღი : 13.11.2017

გაცნობის თარიღი : 13.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სერგო კაპანაძე პ/ნ 01012000367
- საჩხერე ს. კალვათა

ორგანიზაცია:
- "გროსფლეის გრუპ" კოდი: 405092769

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 ნოემბრის №AR1557026 განცხადებით მომართა მოქ. სერგო კაპანაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანებით ცვლილება შევიდა ამავე სამსახურის 2016 წლის 25 მაისის №2615219 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი (ავტომობილების ტექდათვალიერება).
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ: საპროექტო ობიექტად, ზემოაღნიშნულის ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს: პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი და სავაჭრო ობიექტი (მაღაზია).
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 10 ნოემბრის №AR1557026 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანებას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანებაში საპროექტო ობიექტის განსაზღვრისას დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ამავე ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 მაისის №2615219 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრთან (ავტომობილების ტექდათვალიერება) ერთად დაფიქსირდეს სავაჭრო ობიექტი (მაღაზია)“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ნოემბრის №3661729 და 2016 წლის 25 მაისის №2615219 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი